ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №6513710

ნომერი: AR1971592

თარიღი : 12.06.2023

გაცემის თარიღი : 16.06.2023

გაცნობის თარიღი : 15.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლადო მესხიშვილის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზიზო ზურაბაშვილი პ/ნ 01011024887
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ავლაბარის შესახვევი, N 3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი N AR1971592 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის 25 მაისს N AR1967785; განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე შოთა ჯოჯუამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ლადო მესხიშვილის ქუჩა, N 20 საკ. კოდი N 01.17.01.059.011; კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის

ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხადარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.